ჯუმბერ ზაქროშვილი, ანზორ ზაქროშვილი
ვალე, ახალციხის რაიონი, საქართველო

30 მაისი, 2011

მოგესალმებით და მოგითხრობთ ჩვენს პრობლემებზე BTC co კომპანიასთან.

მოგახსენებთ, რომ ვფლობთ მიწის ნაკვეთს 0.10 ჰექტარის ოდენობით, საქართველოში, ახალციხის რ-ნ სოფელ ვალეში ე.წ. "ფოცხოვი 1"-ის ტერიტორიაზე, ბთჯ მილსადენის დერეფანში.

აღნიშნული მიწის ნაკვეთი BTC co ჯგუფმა გადმოგვცა სარგებლობის უფლებით, თანახმად მათივე ვალდებულებისა. აღნიშნული მიწის ნაკვეთით ვსარგებლობდით 2009 წლის შემოდგომამდე.

2009 წლის შემოდგომით აღნიშნულ ტერიტორიაზე BTC ჯგუფის დაკვეთით ტერიტორიაზე მისასვლელი გზა გააკეთა შპს "არალმა", რაც გამოიხატებოდა მდინარის ნაპირიდან ინერტული მასალის გამოზიდვით და ტერიტორიის მისასვლელ მონაკვეთზე ინერტული მასალის დაყრა-მოსწორებაში.

აღნიშნულ ტერიტორიაზე მისასვლელიდან მდინარემდე არსებობს სამანქანო გზა, რომელიც მდებარეობს ჩვენს სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის პარალელურად 30 მ-ის მოშორებით.

იმის ნაცვლად, რომ შპს "არალის" ავტოსატრანსპორტო საშუალებებს ევლოთ სამანქანო გზაზე, მათ იარეს ჩვენსა და სხვა მოსარგებლეების დამუშავებულ მიწის ნაკვეთებზე, რამაც გამოიწვია ის, რომ ჩვენი მიწის ნაკვეთის მთელ სიგრძეზე გაჩნდა 40-50 სმ. სიღრმის თხრილები (როგორც თვითონ შპს "არალის" დირექტორი თავის წერილში აღნიშნავს, მათ იმუშავეს წვიმაში, რაც აშკარად გამოხატავს შპს. "არალის" კვალიფიკაციის არასერიოზულობას. იხ. დანართი 1).

2010 წლის გაზაფხულზე, როდესაც აქტიურად იწყება მიწის ნაკვეთების მომზადება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის დასათესად, ჩვენ ვერ შევძელით მიწის ნაკვეთის დამუშავება, ვინაიდან საჭირო იყო მიწის შემოზიდვა და არსებული თხრილების ამოვსება, ვინაიდან აღნიშნული სამუშაო მოითხოვდა საკმაოდ დიდ მატერიალურ დანახარჯებს და ასევე ჩვენ გვაქვს კონტრაქტი გაფორმებული BTC ჯგუფთან, სადაც გვეკრძალება მძიმე სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება მიწის ნაკვეთებზე და 30 სმ-ზე მეტ სიღრმეზე მიწის სამუშაოების წარმოება.

ჩვენ შევხვდით BTC ჯგუფის წარმომადგენელს, რომელმაც აგვიხსნა, რომ ჩვენ უნდა მიგვემართა შპს "არალის" ხელმძღვანელისადმი, ვინაიდან სამუშაოები აღნიშნულმა კომპანიამ ჩაატარა.

რამოდენიმე დღეში გვქონდა სატელეფონო საუბარი შპს "არალის" დირექტორთან, მაგრამ მან ცინიკურად გვიპასუხა, რომ რამოდენიმე ტომარა სიმინდის გულისთვის არ ღირდა მისი შეწუხება. (მისი გაგებით, 0.10 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე რამოდენიმე ტომარა სიმინდი უნდა მოგვეწია!!! და რატომ მაინცდამაინც სიმინდი, ჩვენთვის გაუგებარია) -ჩავვარდით გაუგებრობაში - აღნიშნული ორივე კომპანიიდან ორთავე უარს ამბობდა ჩვენი პრობლემის მოგვარებაზე - ფიზიკურად ვერ შევძელით 2010 წლის სეზონური სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარება და მასზე პროდუქციის მოყვანა).

2010 წლის შემოდგომაზე რამოდენიმე გულისხმიერი ადამიანის რჩევით მივმართეთ წერილობით BTC ჯგუფის ხელმძღვანელობას და შპს "არალის" დირექტორს.

შპს "არალის" დირექტორის საპასუხო წერილი დღემდე არ მიგვიღია.

BTC ჯგუფის საპასუხო წერილში (იხ. დანართი) კვლავ გაგვიმეორეს, რომ ისინი არ იღებენ პასუხისმგებლობას, ვინაიდან სამშენებლო სამუშაო ჩაატარა შპს "არალმა".

შემდგომ წერილში BTC ჯგუფისადმი ჩვენ შევახსენეთ BTC ჯგუფის მიწის საკითხთა მენეჯერს, რომ პროექტის განხორციელებისას BTC ჯგუფს ჰქონდა აღებული ვალდებულება, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ: BTC ჯგუფი იღებდა პასუხისმგებლობას მის დაქირავებულ სამშენებლო კომპანიების ნამოქმედარზე (იხ. "განსახლების სამოქმედო გეგმა" გვერდი 6-26-6-27, გამოცემულია 2002 წლის დეკემბერში BTC ჯგუფის მიერ).

-საპასუხო წერილში BTC ჯგუფის მიწის საკითხთა მენეჯერი დაგვიპირდა, რომ დაუკავშირდებოდა შპს "არალს" და მოაგვარებდა აღნიშნული პრობლემას.

ჩვენ მოთმინებით ველოდებოდით მათი მხრიდან რაიმე მოქმედებებს, მაგრამ ამაოდ.

ამის გამო ჩვენ კიდევ ერთხელ მივმართეთ BTC ჯგუფის მიწის საკითხთა მენეჯერს, რომ დროულად გადაეწყვიტა ჩვენი პრობლემა, რათა აღარ გაგვეცდინა 2011 წლის სეზონი.

2011 წლის მაისში მივიღეთ საპასუხო წერილი, რომელშიც BTC ჯგუფი კვლავ უარს ამბობს ჩვენი პრობლემის გადაწყვეტაზე და პასუხისმგებლობას აკისრებს შპს "არალს". საპასუხო წერილში დანართის სახით გამოგვიგზავნეს შპს "არალის" დირექტორის წერილი BTC ჯგუფთან.

შპს "არალის" ეს წერილი წარმოადგენს უსინდისობის, ცინიკურობისა და სრული უცოდინრობის ნათელ გამოხატულებას.

თქვენის ნებართვით, ჩვენ გავაკეთებთ რამოდენიმე პუნქტთან კომენტარებს აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით:

ა) შპს "არალის" დირექტორი წერს, რომ იმუშავეს დიდი წვიმის დროს და ვერ შეძლეს სამანქანო გზით სარგებლობა.

გარწმუნებთ, რომ სამანქანო გზასა და ჩვენს მიწის ნაკვეთებს შორის განსხვავება არ ჰქონდა სატრანსპორტო მიმოსვლის თვალსაზრისით, პირიქით: ჩვენი მიწის ნაკვეთი იყო დამუშავებული და შესაბამისად უფრო რთული იყო მანქანების სასიარულოდ.

- დიდი წვიმის დროს სამშენებლო კომპანიის მუშაობა აღნიშნავს მათ არაკვალიფიციურობას და გვიკვირს, - რატომ უკავშირდება BTC ჯგუფი ასეთ უსახელო და დაბალი კვალიფიკაციის მქონე კომპანიას?!

ბ) შპს “არალის” დირექტორი წერს, რომ მათ აცნობეს სხვა მიწის მესაკუთრეებს, რათა აღედგინათ მათი მიწის ნაკვეთები, რაზედაც მიწის მესაკუთრეებმა მოითხოვეს დიზელის საწვავი, ასევე აღნიშნეს, რომ ჩვენ მისთვის არ მიგვიმართავს.

- თუ მან აცნობა სხვა მიწის მესაკუთრეებს, რატომ არ გვაცნობა ჩვენ?
- ჩვენ ვესაუბრეთ აღნიშნული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს და მათ აღნიშნული წერილის საპასუხოდ დაწერეს წერილი (დანართი 2), რის გაცნობის შემდეგ დარწმუნდებით შპს “არალის” ხელმძღვანელის ტყუილში.

გ) შპს “არალის” დირექტორი წერს, რომ ჩვენ შეგნებულად ვაჭიანურებდით მიწის აღდგენის პროცესს.

- მიწაზე დაზიანებების აღმოჩენისთანავე მივმართეთ BTC ჯგუფის წარმომადგენელს. მას შემდეგ სატელეფონო საუბარი გვქონდა შპს “არალის” დირექტორთან (რაც თუ შესაძლებელია, დამტკიცდება მობილური კავშირგაბმულობის არქივიდან ზარის ამოღებით).

- ჩვენ ასევე ვევედრებოდით BTC ჯგუფის მიწის საკითხთა მენეჯერს დროულად მოეგვარებინა პრობლემა, რათა ზარალი გვადგებოდა უკვე 2011 წლის სეზონზეც, მაგრამ არავინ ყურად არ იღო ჩვენი გაჭირვება და დღესაც მიწის ნაკვეთი იგივე მდგომარეობაშია, რაც დარჩა შპს “არალის” მუშაობის შედეგად.

შპს “არალის” დირექტორი წერს, რომ 2011 წლის მარტში მნახეს მე და მთხოვეს მეჩვენებინა ჩემი მიწის ნაკვეთი.
- მაპატიეთ, მაგრამ ვერ გამიგია - თუ მან გააფუჭა (დააზიანა) მიწის ნაკვეთი, რასაც აღიარებს კიდევაც, რაში სჭირდებოდა ვინმეს მიერ ნაკვეის ჩვენება?

P.S. ჩვენ ასევე გვაინტერესებს, თუ რატომ დაგვიწესეს შეზღუდვები მიწის სარგებლობისას, თუ თვითონ როცა უნდათ მაშინ არღვევენ აღნიშნულ უსაფრთხოების ნორმებს? (საუბარია მიწის 30სმ-ზე მეტ სიღრმეზე დამუშავებაზე და მძიმე სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებაზე ბთჯ მილსადენის ტერიტორიაზე!)

- ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ დაგვეხმაროთ სამართლიანობის აღდგენაში; რაც გამოიხატება შემდეგში:

1. მოვითხოვთ BTC ჯგუფისგან აღნიშნული მიწის ნაკვეთებზე თხრილების ამოსავსებად ნაყოფიერი მიწის შეტანას, მის მოსწორებას, რათა ჩვენს სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების გამოყენება შევძლოთ 2012 წლის სეზონზე მაინც.

2. მოვითხოვთ BTC ჯგუფისაგან აგვინაზღაუროს მატერიალური ზარალი, რაც მოგვაყენა 2010 და 2011 წლების სეზონზე.

30.05.2011 წ.

პატივისცემით,

ჯუმბერ ზაქროშვილი [ხელმოწერა]
ანზორ ზაქროშვილი [ხელმოწერა]
წერილს თან ერთვის დანართები და ფოტოსურათები